ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია

ა(ა)იპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების“ ფინანსური და შესაბამისობის შიდა აუდიტორული შემოწმების

აუდიტორული ანგარიში

(01.01.2020 წ – 01.01.2023 წ)

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახური

თებერვალი 2023 წელი

სარჩევი

1. შესავალი.....3

ა. ზოგადი ნაწილი.....3

ბ. შესამოწმებელ პერიოდში სამსახურის საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები.....3

2. ძირითადი აუდიტორული აღმოჩენები 5

ა. ა(ა)იპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების" ფუნქციონირების, ქონების მართვისა და განკარგვის შედეგად გაწეული მუშაობის შედეგების აუდიტი 5

ბ. სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის, ხელშეკრულებების მომზადების, შესყიდული აქტივებისა და მომსახურების აღრიცხვის ასახვის შესაბამისობისა და ფინანსური აუდიტი.....6

გ. შემოსავლებისა და ხარჯების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, საბიუჯეტო სახსრების ოპერაციების აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადების, ძირითადი აქტივების, მატერიალური მარაგების, ფულადი ანგარიშების და ვალდებულებების ფინანსური აუდიტი 7

3. ძირითადი რისკები 11

4. რეკომენდაციები 11

ხელმოწერები.....12

1. შესავალი

ა. ზოგადი ნაწილი

შიდა აუდიტის საფუძველი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის 2023 წლის წლიური გეგმა.

შიდა აუდიტის ობიექტი - ა(ა)იპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება".

აუდიტის პერიოდი - 2020 წლის 01 იანვრიდან - 2023 წლის 01 იანვრამდე პერიოდი.

აუდიტის ჩატარების ვადა - 09.01.2023 წ – 02.03.2023 წ.

შიდა აუდიტის ამოცანა:

1. 2020 წლის 01 იანვრიდან - 2023 წლის 01 იანვრამდე პერიოდში ობიექტის ფუნქციონირების შედეგად განეული მუშაობის შესწავლა-ანალიზი, რისკების დადგენა და მათი აღმოფხვრის მეთოდების შემუშავება, შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა;

2. ა(ა)იპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების" ფულადი სახსრების ხარჯვის, ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი თანხების გამოყენების კანონიერების, ზუდალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შემოწმება.

3. ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელის მიერ კომპეტენციის ფარგლებში გამოცემული აქტების, საკანცელარიო საქმისწარმოების, ხელშეკრულებების, საშტატო ნუსხით გათვალისწინებული საშტატო ერთეულების დაკომპლექტებისა და სახელფასო ფონდის ხარჯვის, მივლინებების, ქონების მიღების, აღრიცხვის, გამოყენების, დაცვისა და განკარგვის შესწავლა-ანალიზი, წესდებით გათვალისწინებული მიზნების შესრულებისა და საკადრო საქმიანობის კანონთან შესაბამისობის კონტროლი, რისკების დადგენა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა მათ აღმოსაფხვრელად.

ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შიდა კონტროლის სისტემის სწორად განხორციელებაზე, რაც ხელს შეუწყობს ორგანიზაციის გამართულ ფუნქციონირებას, განხორციელებული საფინანსო-სამეურნეო ოპერაციების მოქმედ კანონმდებლობასთან და სამართლებრივ ნორმებთან შესაბამისობას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შიდა აუდიტორებისათვის მიწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სიზუსტეზე. ანგარიშში ძირითადად ასახულია ის შენიშვნები, ხარვეზები და რისკები, რომლებიც გამოიკვეთა ობიექტის შემოწმებისას.

ბ. შესამოწმებელ პერიოდში „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების" საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები.

„დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება" რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში 2018 წლის 30 აპრილს. ის ჩამოყალიბდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის 07.03.2018 წლის N49439 ბრძანებით გამოცხადებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების „ხარაგაულდასუფთავებისა"

და „ხარაგაულკეთილმოწყობის" გაერთიანების (შერწყმის) შედეგად. ის საქმიანობას ახორციელებს წესდების შესაბამისად.

მისამართი: დაბა ხარაგაული, სოლომონ მეფის ქ. N7.

ელექტრონული მისამართი: ketilmowyobadasuftaveba@gmail.com, ტელეფონი: (433)221910 .

ა(ა)იპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების" წესდებით გათვალისწინებული მიზნები და ამოცანები:

დასუფთავების მიმართულებით:

ა) დაბის ქუჩების დასუფთავება და ნარჩენების შეგროვება, ნაგვის შემკრები ბუნკერების დაცლა და შეგროვილი ნარჩენების გატანა სპეციალურად გამოყოფილ ნაგავსაყრელზე;

ბ) პატარა ხარაგაულში განთავსებული ნარჩენების შემგროვებელი ბუნკერების დაცლა, ასევე სხვა ნარჩენების გატანა ყოველდღე;

გ) ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალ ცენტრალურ საავტომობილო გზაზე განთავსებული სავაჭრო ობიექტებიდან ნარჩენების გატანა;

დ) ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულებისა და მიმდებარე სოფლების ტერიტორიების დასუფთავება ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა;

ე) დაბის ქუჩების სეზონური მორწყვა;

ვ) მაწანწალა და უპატრონო ძაღლების იზოლაცია;

ზ) დაბა ხარაგაულის ტერიტორიაზე წყალარინების სისტემის მოწყობა, მოვლა-პატრონობა;

თ) ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შემდეგი ადმინისტრაციული შენობების: ხევის, ღორეშის, კიცხის საზოგადოებრივი ცენტრის შენობების დასუფთავება და დაცვა;

ი) დაბა ხარაგაულში 9 აპრილის ქუჩა N15-ში მდებარე მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის ადმინისტრაციული შენობის მოვლა-პატრონობა.

კეთილმოწყობის მიმართულებით:

ა) სკვერებისა და პარკების მოვლა-პატრონობა, დასუფთავება და კეთილმოწყობა მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე;

ბ) ღამის განათების ექსპლოატაცია მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე;

გ) სანიაღვრე არხების მოვლა-პატრონობა;

დ) ქუჩების, გაზონების კეთილმოწყობა და პირუტყვისაგან დაცვა;

ე) დაბაში არსებული ხიდებისა და ტროტუარების მოვლა-პატრონობა;

ვ) კულტურის პარკისა და სკვერების დასუფთავება-კეთილმოწყობა მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე;

ზ) გაერთიანება უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რაც კანონმდებლობით აკრძალული არ არის.

გაერთიანების დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი.

2. ძირითადი აუდიტორული აღმოჩენები

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის, შიდა აუდიტის განყოფილების [redacted], ამავე განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-[redacted], შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის [redacted] მიერ, საქართველოს კანონის „სახელმწიფო [redacted]იდა ფინანსური კონტროლის შესახებ", საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 8 სექტემბრის №41 დადგენილებით დამტკიცებული ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის დებულებისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის 2023 წლის წლიური გეგმის საფუძველზე, ა(ა)იპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანებაში" ჩატარდა 2020 წლის 01 იანვრიდან - 2023 წლის 01 იანვრამდე პერიოდში ობიექტის საქმიანობის შიდა აუდიტორული შემოწმება. შემოწმებას ესწრებოდნენ და განმარტებებს დასმულ საკითხებზე იძლეოდნენ: დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი [redacted]

წარმოდგენილი საბუღალტრო ჩანაწერებისა და სხვა დოკუმენტების შემოწმების საფუძველზე დადგენილია შემდეგი:

ა. ა(ა)იპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების" ფუნქციონირების, ქონების მართვისა და განკარგვის შედეგად გაწეული მუშაობის შედეგების აუდიტი

ობიექტს 2012 წლიდან სხვადასხვა დროს ჩაუტარდა აუდიტორული შემოწმებები.

ობიექტს ხარაგაულის მუნიციპალიტეტისაგან თხოვების წესით გადაცემული აქვს ტექნიკა: 2 ერთეული ისუზუ-სპეციალური, უაზ-469 და მმზ 4502, 2 ერთეული მერსედეს სპეცი, 1 ერთეული უაზ-31514, ავტომანქანა „ნივა", 1 ერთეული გრეიდერი, 2 ერთეული ტრაქტორი, 2 ერთეული ბაქნიანი ამწე. ასევე, უსასყიდლო უზუფრუქტის წესით გადაცემული აქვს საოფისე შენობა და მიწის ნაკვეთი ავტოსადგომისა და დარაჯის შენობისათვის.

ობიექტის წესდებაში ცვლილებაა შესატანი ადმინისტრაციული შენობის მისამართის და ელექტრონული ფოსტის დასახელების კუთხით.

გაერთიანებაში წარმოებია გასული და შემოსული კორესპონდენციების ჟურნალები და ბრძანებების წიგნი. აკინძული და შენახულია საარქივო მასალა.

გაერთიანებას შესამოწმებელ პერიოდში შემუშავებული აქვს თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები, რომლებშიც არის ხარვეზები, კერძოდ:

2020 წლის თანამდებობრივ ინსტრუქციებში მითითებულია დამხმარე ბუღალტრის ფუნქციები, ხოლო ამავე წლის საშტატო განრიგში არაა ასეთი პოზიცია. საშტატო განრიგში მითითებულია ბუღალტრის პოზიცია. ამავე წლის 01 აგვისტოს შედგენილ საშტატო განრიგში არის პროგრამების მენეჯერის პოზიცია, ხოლო თანამდებობრივ ინსტრუქციებში არაა ასახული მისი ფუნქციები, ასევე არაა ასახული ჯგუფის უფროსის, დიზაინერის, შემკეთებელი ზეინკლის, მქლორავის, აღრიცხვა-მონიტორინგის სპეციალისტის, ზედამხედველობისა და მონიტორინგის სპეციალისტის, მებაღე

სპეციალისტის, ჩითილების გამომყვანის, აღმრიცხველის ფუნქციები, თუმცა საშტატო განრიგში არსებობს ხსენებული პოზიციები. ზოგ შემთხვევაში საშტატო განრიგით არაა განსაზღვრული პოზიციები, მაგრამ თანამდებობრივ ინსტრუქციებშია მოცემული, კერძოდ, უბნის უფროსის, დასუფთავების ჯგუფის უფროსის, ნარჩენების აღრიცხვის ოპერატორის ფუნქციები. ასევე ადგილი აქვს პოზიციათა ფუნქციების დუბლირებას, მაგალითისთვის მოვიხმობთ ავტო შემკეთებლისა და მექანიკოსის პოზიციებს, რომელთა ფუნქციებშიც გაწერილია ავტომანქანის შეკეთება. თანამდებობრივ ინსტრუქციებსა და საშტატო განრიგებში შეუსაბამობაა 2021-2022 წლებშიც.

2020 წელს ხელმძღვანელის მიერ შედგენილ ზოგიერთ ბრძანებაში არასწორადაა გაანგარიშებული შვებულების დღეები, არის შვებულების დღის დაკლების შემთხვევა და პირიქით, 1 დღით მეტი ვადით შვებულების მიცემის შემთხვევაც. ასეთი შეუსაბამობაა 2021 წლის ივნისამდე პერიოდშიც. 2021 წლის ივლისიდან ორგანიზაცია გადავიდა საქმიანობის ელექტრონულ სისტემაზე და აღმოფხვრილია მსგავსი შეუსაბამობები. შესამოწმებელი პერიოდში შედგენილ - ბრძანებებში შვებულების შესახებ არაა მითითებული სამართლებრივი ნორმა შვებულებასთან დაკავშირებით. 2020 წლის 31 იანვრის ბრძანებით ვლადიმერ გრიგალაშვილი მიღებულია სამსახურში 1 თვის გამოსაცდელი ვადით 1 მარტამდე. არაა შედგენილი ბრძანება [redacted] შრომითი ხელშკრულების გაგრძელების შესახებ. ასევეა [redacted] შემთხვევაშიც (იხ. 30.07.2020წ N 137 ბრძანება). 2020 წლის 10 აგვისტოს N 148 ბრძანების საფუძველზე [redacted] გაშვებულია შვებულებაში და არაა შედგენილი ბრძანება მისი შვებულებიდან დაბრუნების შესახებ, ასევეა [redacted] შემთხვევაშიც (იხ. 30.10.2020წ N 272 ბრძანება. 08.12.2020წ. N 301 ბრძანება). [redacted] დაბრუნდა შვებულებიდან 9 დეკემბერს. ბრძანება 8 დეკემბერსაა შედგენილი და მითითებულია, რომ დაბრუნდა შვებულებიდან 9 დეკემბერს..

2020 წლის 30 მარტის N 74 ბრძანების საფუძველზე, [redacted] მიეცა დანამატი 500 ლარის ოდენობით მანქანაზე „კარტერის" მოხსნისა და ძრავის ღერძის დამკავებლის შეცვლის გამო. ძრავის ღერძის დამკავებელი შეძენილი იქნა მის მიერ შესყიდვის გარეშე. აღნიშნული შეუსაბამობაშია სახელმწიფო შესყიდვების სამართლებრივ ნორმებთან. 2020 წლის 10 აპრილის N76 და N77 ბრძანებებით [redacted] დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად შეეფარდათ გაფრთხილება, შესაბამისი ბრძანება შედგა, მაგრამ მათ არ ჩაბარებიათ. [redacted] მიღებული იქნა სამსახურში 2020 წლის 30 აგვისტოს 1 თვის გამოსაცდელი ვადით, 1 აგვისტომდე 30.06.2020წ N104 ბრძანების საფუძველზე. მას ვადა გაუგრძელდა 5 აგვისტოს, 3 დღის დაგვიანებით.

2021 წლის 6 მარტს შედგენილია N 73 ბრძანება მეეზოვეების დასაჩუქრების შესახებ, ღირებულებაა 168 ლარი. აღნიშნულ დონისძიებასთან დაკავშირებით, შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N33 დადებულია 2021 წლის 14 აპრილს, მიღება-ჩაბარების აქტი და სასაქონლო ზედნადებიც ამავე თარიღითაა დათარიღებული. მოცემულ შემთხვევაში შესყიდვის და საქმისწარმოების თანმიმდევრობაა დარღვეული. ჯერ უნდა გამოცემულიყო ბრძანება, შემდეგ უნდა დაედოთ ხელშეკრულება, განეხორციელებიათ შესყიდვა, შეედგინათ მიღება-ჩაბარების აქტი და შემდეგ უნდა გადაეცათ საჩუქარი დასაჩუქრებულთათვის ხელმოწერით. 2022 წელს ასეთი ფაქტი აღარ განმეორებულა.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ შესამოწმებელ პერიოდში ერთი და იგივე კატეგორიის თანამშრომლებს აქვთ სხვადასხვა ანაზღაურება. არაა დასაბუთებული რითაა გამოწვეული სხვაობა.

ბ. სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის, ხელშეკრულებების მომზადების, შესყიდული აქტივებისა და მომსახურების აღრიცხვის ასახვის შესაბამისობისა და ფინანსური აუდიტი.

ა(ა)იპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება" დარეგისტრირებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში. შესყიდვები განხორციელებულია

გამარტივებული შესყიდვით და ელექტრონული ტენდერის მეშვეობით. 2022 წლის შესყიდვის გეგმა ატვირთულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრო სისტემაში დაგვიანებით. რის გამოც დარღვეულია საქართველოს კანონი, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მუხლი 9, პუნქტი 4-ი. მომდევნო წლის შესყიდვების წლიურ გეგმას შემსყიდველი ორგანიზაცია წარუდგენს სააგენტოს არაუგვიანეს მიმდინარე წლის 20 ნოემბრისა.

2020 წლის შესყიდვების გეგმა ატვირთული იყო 299756 ლარის. აღნიშნული წლის განმავლობაში ხელშეკრულება გაფორმებულია 164006 ლარის ღირებულების სამუშაოებსა და მომსახურებაზე, ხოლო ფაქტობრივად შესყიდულია 162442 ლარის ღირებულების სამუშაოები და მომსახურება. 2021 წლის შესყიდვების გეგმა ატვირთული იყო 412259 ლარის. აღნიშნული წლის განმავლობაში ხელშეკრულება გაფორმებულია 398656 ლარის ღირებულების სამუშაოებსა და მომსახურებაზე, ხოლო ფაქტობრივად შესყიდულია 396697 ლარის ღირებულების სამუშაოები და მომსახურება. 2022 წლის შესყიდვების გეგმა ატვირთული იყო 509920 ლარის. აღნიშნული წლის განმავლობაში ხელშეკრულება გაფორმებულია 481022 ლარის ღირებულების სამუშაოებსა და მომსახურებაზე, ხოლო ფაქტობრივად შესყიდულია 443547 ლარის ღირებულების სამუშაოები და მომსახურება.

გ. შემოსავლებისა და ხარჯების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, საბიუჯეტო სახსრების ოპერაციების აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადების, ძირითადი აქტივების, მატერიალური მარაგების, ფულადი ანგარიშებისა და ვალდებულებების ფინანსური აუდიტი.

ა(ა)იპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანებაში" შემოსავალი და ხარჯები ნაწარმოებია ხაზინის მეშვეობით.

ა(ა)იპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება"-ს 2020 წელს სუბსიდიის სახით ჩაერიცხა 1114573 ლარი, სხვა შემოსავალმა შეადგინა 4454 ლარი. სულ შემოსავალმა შეადგინა 1119027 ლარი. 2020 წლის დასაწყისში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა გაერთიანებას დაუმტკიცა საშტატო განრიგი თვიური ხელფასი 68410 ლარი, 170 საშტატო ერთეულით. ხოლო 2020 წლის 01 მაისიდან დაუმტკიცა 166 საშტატო ერთეული, ხელფასის თვიური ფონდით 68710 ლარი, ხოლო 2020 წლის 01 აგვისტოდან დაუმტკიცა 166 საშტატო ერთეული, ხელფასის თვიური ფონდით 68360 ლარი, ხოლო 2020 წლის 01 სექტემბრიდან დაუმტკიცა 169 საშტატო ერთეული, ხელფასის თვიური ფონდით 69810 ლარი, ხოლო 2020 წლის 01 დეკემბრიდან დაუმტკიცა 173 საშტატო ერთეული, ხელფასის თვიური ფონდით 71260 ლარი.

ა(ა)იპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება"-ს 2021 წელს სუბსიდიის სახით ჩაერიცხა 1357339 ლარი, სხვა შემოსავალმა შეადგინა 6590 ლარი. სულ შემოსავალმა შეადგინა 1363929 ლარი. 2021 წლის დასაწყისში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა გაერთიანებას დაუმტკიცა საშტატო განრიგი თვიური ხელფასით 71485 ლარი, 174 საშტატო ერთეულით, ხოლო 2021 წლის 15 მარტიდან დაუმტკიცა 178 საშტატო ერთეული, ხელფასის თვიური ფონდით 72485 ლარი, ხოლო 2021 წლის 15 აპრილიდან დაუმტკიცა 178 საშტატო ერთეული, ხელფასის თვიური ფონდით 73185 ლარი, ხოლო 2021 წლის 15 ივნისიდან დაუმტკიცა 180 საშტატო ერთეული, ხელფასის თვიური ფონდით 75135 ლარი, ხოლო 2021 წლის 01 აგვისტოდან დაუმტკიცა 185 საშტატო ერთეული, ხელფასის თვიური ფონდით 76985 ლარი, ხოლო 2021 წლის 01 ნოემბრიდან დაუმტკიცა 185 საშტატო ერთეული, ხელფასის თვიური ფონდით 77635 ლარი.

ა(ა)იპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება"-ს 2022 წელს სუბსიდიის სახით ჩაერიცხა 1637292 ლარი, სხვა შემოსავალმა შეადგინა 5790 ლარი. სულ შემოსავალმა შეადგინა 1643082 ლარი. 2022

წლის 01 იანვრიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა"გაერთიანებას დაუმტკიცა საშტატო განრიგი თვიური ხელფასით 86490 ლარი, 186 საშტატო ერთეულით, ხოლო 2022 წლის 01 თებერვალს დაუმტკიცა 185 საშტატო ერთეულით, ხელფასის თვიური ფონდით 86855 ლარი. ხოლო 2022 წლის 01 მარტიდან დაუმტკიცა 185 საშტატო ერთეული, ხელფასის თვიური ფონდით 87215 ლარი, ხოლო 2022 წლის 15 მარტიდან დაუმტკიცა 187 საშტატო ერთეული, ხელფასის თვიური ფონდით 87465 ლარი, ხოლო 2022 წლის 01 მაისიდან დაუმტკიცა 187 საშტატო ერთეული, ხელფასის თვიური ფონდით 87295 ლარი, ხოლო 2022 წლის 01 ივნისიდან დაუმტკიცა 191 საშტატო ერთეული, ხელფასის თვიური ფონდით 90175 ლარი, ხოლო 2022 წლის 01 ივლისიდან დაუმტკიცა 192 საშტატო ერთეული, ხელფასის თვიური ფონდით 90560 ლარი, ხოლო 2022 წლის 01 აგვისტოდან დაუმტკიცა 195 საშტატო ერთეული, ხელფასის თვიური ფონდით 90625 ლარი, ხოლო 2022 წლის 15 აგვისტოდან დაუმტკიცა 196 საშტატო ერთეული, ხელფასის თვიური ფონდით 91700 ლარი, ხოლო 2022 წლის 17 აგვისტოდან დაუმტკიცა 197 საშტატო ერთეული, ხელფასის თვიური ფონდით 92250 ლარი, ხოლო 2022 წლის 06 სექტემბრიდან დაუმტკიცა 199 საშტატო ერთეული, ხელფასის თვიური ფონდით 93040 ლარი, ხოლო 2022 წლის 16 სექტემბრიდან დაუმტკიცა 201 საშტატო ერთეული, ხელფასის თვიური ფონდით 93920 ლარი, ხოლო 2022 წლის 15 ოქტომბრიდან დაუმტკიცა 203 საშტატო ერთეული, ხელფასის თვიური ფონდით 94895 ლარი. ხოლო 2022 წლის 01 ნოემბრიდან დაუმტკიცა 203 საშტატო ერთეული, ხელფასის თვიური ფონდით 94945 ლარი.

ა(ა)იპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება"-ს 2020 წელში დარიცხული აქვს საშემოსავლო გადასახადი, რომელიც შეადგენს 152974 ლარს, 2021 წელს დარიცხულია - 163713 ლარი, 2022 წელს - 194576 ლარი. აღნიშნული თანხები გადარიცხულია ხაზინის ერთიან საბიუჯეტო ანგარიშზე.

ა(ა)იპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება"-ში გაწეული ხარჯები და შესაბამისი პროექტული შემადგენლობა პროგრამების მიხედვით ხარჯთან მიმართებაში, წლების მიხედვით ნაჩვენებია ცხრილებში:

ა(ა)იპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება"							
პროგრამა: „დასუფთავება და ნარჩენების გატანა"-ზე გაწეული ხარჯების შესახებ							
						ცხრილი №1	
№	ხარჯების დასახელება	2020 წ		2021 წ		2022 წ	
		თანხა ლარი	%	თანხა ლარი	%	თანხა ლარი	%
1	შრომის ანაზღაურება	587547	74.49	637180	67.24	767976	65.82
2	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	0	0	0	0.00	3575	0.31
3	მივლინება ქვეყნის შიგნით	145	0.02	108	0.01	558	0.05
4	საკანცელარიო საქონელი	1188	0.15	1274	0.13	1971	0.17
5	მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა და დამონტაჟების ხარჯი	351	0.04	1554	0.16	740	0.06
6	სხვა მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა და დამონტაჟების ხარჯი	2490	0.32	250	0.03	0	0
7	რეცხვისა და ქიმწმენდის ხარჯი	499	0.06	309	0.03	491	0.04
8	კავშირგაბმულობის და საფოსტო მომსახურები ხარჯები	4158	0,53	3934	0.42	3324	0.28

9	კომუნალური ხარჯი	3151	0.40	2580	0.27	4315	0.37
10	რბილი ინვენტარის,უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯი	5985	0.76	7630	0.81	6587	0.56
11	საწვავ-საცხები მასალები	98915	12.54	135917	14.34	174505	14.96
12	ტრანსპორტის მიმდინარე რემონტის ხარჯი	5799	0.73	8881	0.94	8729	0.75
13	სათადარიგო ნაწილების შეძენა	22757	2.89	17782	1.88	27264	2.34
14	ტრანსპორტის დაქირავების ხარჯი	1910	0.24	5470	0.58	4240	0.36
15	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობა	17751	2.25	73966	7.8	128497	11.01
16	არაფინანსური აქტივების ზრდა	36108	4.58	50776	5.36	34010	2.92
	სულ	788754	100	947611	100	1166782	100

ა(ა)იპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“							
პროგრამა: „გარე განათება“-ზე გაწეული ხარჯების შესახებ							
						ცხრილი №2	
№	ხარჯების დასახელება	2020 წ		2021 წ		2022 წ	
		თანხა ლარი	%	თანხა ლარი	%	თანხა ლარი	%
1	შრომის ანაზღაურება	66625	39.82	64050	28.17	74935	26.65
8	კომუნალური ხარჯი	69010	41.25	107799	47.41	130851	46.53
12	სათადარიგო ნაწილების შეძენა	660	0.39	0	0	0	0.00
14	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობა	31009	18.54	55508	24.42	75010	26.68
15	არაფინანსური აქტივების ზრდა	0	0	0	0	400	0.14
	სულ	167304	100	227357	100	281196	100

ა(ა)იპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“							
პროგრამა: „მწვანე ნარგავების მოვლაპატრონობა“-ზე გაწეული ხარჯების შესახებ							
						ცხრილი №3	
№	ხარჯების დასახელება	2020 წ		2021 წ		2022 წ	
		თანხა ლარი	%	თანხა ლარი	%	თანხა ლარი	%

1	შრომის ანაზღაურება	148627	94.03	169935	95.09	188564	96.65
13	ტრანსპორტის დაქირავების ხარჯი	800	0.51	0	0	0	0.00
14	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობა	8642	5.46	8774	4.91	6540	3.35
	სულ	158069	100	178709	100	195104	100

ა(ა)იპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება"							
პროგრამა: „უპატრონო ცხოველების მოვლის ღონისძიებებ"-ზე გაწეული ხარჯების შესახებ							
ცხრილი №4							
№	ხარჯების დასახელება	2020 წ		2021 წ		2022 წ	
		თანხა ლარი	%	თანხა ლარი	%	თანხა ლარი	%
1	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობა	4900	100	10252	100	0	0.00
	სულ	4900	100	10252	100	0	0.00

ა(ა)იპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანებას" 2020 წელს მთლიანმა ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა 1119027 ლარი. აქედან, მომუშავეთა შრომის ანაზღაურებამ შეადგინა 802799 ლარი (71,74%), მივლინებამ - 145 ლარი (0,01%), საკანცელარიო საქონლის ხარჯმა - 1188 ლარი (0,11%), მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა და დამონტაჟების ხარჯმა - 351 ლარი (0,03%), სხვა მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა და დამონტაჟების ხარჯმა - 2490 ლარი - (0,22%), რეცხვისა და ქიმწმენდის ხარჯმა - 499 ლარი (0,04%), კავშირგაბმულობის და საფოსტო მომსახურების ხარჯმა - 4158 ლარი (0,37%), კომუნალურმა ხარჯმა - 72161 ლარი (6,45%), რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯმა - 5985 ლარი (0,54%), საწვავ-საცხები მასალების შეძენის ხარჯმა - 98915 ლარი (8,84%), ტრანსპორტის მიმდინარე რემონტის ხარჯმა - 5799 ლარი (0,52%), სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯმა - 23417 ლარი (2,09%), ტრანსპორტის დაქირავების ხარჯმა - 2710 ლარი (0,24%), სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებისათვის გახარჯულია 62302 ლარი (5,57%), არაფინანსური აქტივების ზრდა - 36108 ლარი (3,23%).

ა(ა)იპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანებას" 2021 წელს მთლიანმა ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა 1363929 ლარი. აქედან, მომუშავეთა შრომის ანაზღაურებამ შეადგინა 871165 ლარი (63,87%), მივლინებამ - 108 ლარი (0.01%), საკანცელარიო საქონლის ხარჯმა - 1274 ლარი (0.09%), მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა და დამონტაჟების ხარჯმა - 1554 ლარი (0.11%), სხვა მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა და დამონტაჟების ხარჯმა - 250 ლარი - (0.02%), რეცხვისა და ქიმწმენდის ხარჯმა - 309 ლარი (0.02%), კავშირგაბმულობის და საფოსტო მომსახურების ხარჯმა - 3934 ლარი (0.29%), კომუნალურმა ხარჯმა - 110379 ლარი (8.09%), რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯმა - 7630 ლარი (0.56%), საწვავ-საცხები მასალების შეძენის ხარჯმა - 135917 ლარი (9.97%), ტრანსპორტის მიმდინარე რემონტის ხარჯმა - 8881 ლარი (0.65%), სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯმა - 17782 ლარი (1.30%), ტრანსპორტის დაქირავების ხარჯმა - 5470 ლარი (0.40%), სხვა დანარჩენი

საქონელი და მომსახურებისათვის გახარჯულია 148500 ლარი (10.89/%), არაფინანსური აქტივების ზრდა - 50776 ლარი (3.73%).

ა(ა)იპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანებას" 2022 წელს მთლიანმა ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა 1638132 ლარი, აქედან, მომუშავეთა შრომის ანაზღაურებამ შეადგინა 1031475 ლარი (62,97%), შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებამ შეადგინა - 3575 ლარი (0,22%), მივლინებამ - 558 ლარი (0,03%), საკანცელარიო საქონლის ხარჯმა - 1971 ლარი (0,12%), მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა და დამონტაჟების ხარჯმა - 740 ლარი (0,05%), რეცხვისა და ქიმწმენდის ხარჯმა - 491 ლარი (0,03%), კავშირგაბმულობის და საფოსტო მომსახურების ხარჯმა - 3324 ლარი (0,20%), კომუნალურმა ხარჯმა - 135166 ლარი (8,25%), რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯმა - 6587 ლარი (0,40%), საწვავ-საგხები მასალების შეძენის ხარჯმა - 174505 ლარი (10,65%), ტრანსპორტის მიმდინარე რემონტის ხარჯმა - 8729 ლარი (0,53%), სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯმა - 27264 ლარი (1,67%), ტრანსპორტის დაქირავების ხარჯმა - 4240 ლარი (0,26%), სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებისათვის გახარჯულია 205097 ლარი (12,52%), არაფინანსური აქტივების ზრდა - 34410 ლარი (2,10%).

ა(ა)იპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანებას" მერის მიერ დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით აქვს გადახარჯვები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით: 2020 წელს ტრანსპორტის მიმდინარე რემონტის ხარჯში 299 ლარი (გეგმა 5500 ლარი - ფაქტიური ხარჯი 5799 ლარი), სათადარიგო ნაწილების შეძენაში - 660 ლარი (გეგმა 0 - ფაქტიური ხარჯი 660 ლარი). 2022 წელს სათადარიგო ნაწილების შეძენაში - 1264 ლარი (გეგმა 26000 ლარი - ფაქტიური ხარჯი 27264 ლარი). აღნიშნული გადახარჯვები დაბალანსებულია საკუთარი შემოსავლებით.

ბუღალტრულ აღრიცხვას ახორციელებს მთავარი ბუღალტერი და ბუღალტერი. ბუღალტრული აღრიცხვა - ანგარიშგება შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს.

გაერთიანებაში 2020-2021 წლებში ჩატარებულია ინვენტარიზაცია, რომელიც არ შეესაბამება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანებას, ხოლო 2022 წელში ჩატარებული ინვენტარიზაცია არ შეესაბამება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის №364 ბრძანებას.

3. ძირითადი რისკები

შესაბამისობის და ფინანსური რისკები.

4. რეკომენდაციები

1. ყურადღება მიექცეს ობიექტის ხელმძღვანელის მიერ გამოცემული აქტების უშეცდომოდ შედგენას, ბრძანებებში მიეთითოს სამართლებრივი საფუძველი, ბრძანების შინაარსიდან გამომდინარე.შვებულების დღეების გაანგარიშება უნდა მოხდეს კანონმდებლობის შესაბამისად.
2. სამტატო განრიგები და თანამდებობრივი ინსტრუქციები შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი.
3. ა(ა)იპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება"-ის წესდებაში შესწორება იქნას შეტანილი ორგანიზაციის და ელექტრონული ფოსტის მისამართებთან დაკავშირებით.
4. ყურადღება მიექცეს შესყიდვების წლიური გეგმის დროულად ატვირთვას შესყიდვების ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე.
5. ყურადღება მიექცეს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების სწორად შედგენას, რათა არ მოხდეს გადახარჯვები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით.

6. უნდა ჩატარდეს ინვენტარიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

შიდა აუდიტის მიერ შემოწმებულ პერიოდში ა(ა)იპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანებაში" განხორციელებულ საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირები არიან: ყოფილი დირექტორი [redacted] 2022 წლის 04 იანვრიდან 2023 წლის 01 იანვრამდე.

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის

შიდა აუდიტის განყოფილების უფროსი: [redacted]

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის

შიდა აუდიტის განყოფილების

პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი: [redacted]

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი: [redacted]